ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის
სხდომის ოქმი №3

დაბა ქედა 03 ნოემბერი, 2020 წელი

სხდომა დაიწყო 14:00 სთ-ზე
სხდომა დამთავრდა 15:00 სთ-ზე

სხდომას თავმჯდომარეობდა: სილოვან ბერიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:
ტარიელ მანველიძე - კომისიის წევრი;
ბადრი შავლიძე - კომისიის წევრი;
ოთარ ბოლქვაძე - კომისიის წევრი;
თემურ ავალიანი - კომისიის წევრი.

სხდომას არ ესწრებოდა:
გოჩა გათენაძე - კომისიის წევრი;
ვაჟა ბოლქვაძე - კომისიის წევრი;

სხდომას ასევე ესწრებოდა:
საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალაძე;
მერის წარმომადგენელი მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლევან ვერძაძე;
მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში - გულადი წითელაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა სარეგისტრაციო ფურცელი

03.11.2020 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	სილოვან ბერიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	ოთარ ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
3	ბადრი შავლიძე	კომისიის წევრი	
4	ტარიელ მანველიძე	კომისიის წევრი	
5	ვაჟა ბოლქვაძე	კომისიის წევრი	
6	თემურ ავალიანი	კომისიის წევრი	
7	გოჩა გათენაძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით.

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის 33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ კომისია განიხილავს ქედის მუნიციპალიტეტის მერის მიერ ინიცირებულ „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის №33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს, რომელშიც ხდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხაში დამატება (შემოსული დოკუმენტი N93/04; 07.10.2020 წელი).

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინიციატორის განმარტებით საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხას ემატება სოფელ ქვედა მახუნცეთში (აწჰესის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი 8966 კვ. მეტრი (ს/კ 21.01.37.776). რომელიც ექსპერტ-შემფასებლის მიერ შეფასებულია 89660 ლარად. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე აუქციონის გამართვას მოითხოვს ა(ა)იპ „ქედის ბიზნეს ასოციაცია“ (განცხ. 4311/03 29.09.2020წ), რომლის შეძენის შემთხვევაში დაგეგმილი აქვს ააშენოს კაფე-რესტორანი პანორამული ტერასით, მოაწყოს ეთნოგრაფიული კუთხე, ე.წ. ზიპლაინი, შემინული ლიფტი და სხვა ტურისტული მომსახურების ობიექტი. აღნიშნული ობიექტის ამოქმედების შემდგომ მასში დასაქმდება მუნიციპალიტეტის მცხოვრები მოსახლეობა და დამატებით ეკონომიკური სარგებელი გაუჩნდება როგორც მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრის ტარიელ მანველიძის განმარტებით, კომისიამ ადგილზე დაათვალიერა არსებული მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ბათუმი-ანგისის საავტომობილო გზის მიმდებარედ, აწჰესის დასახლებაში, არის ტურისტულად აქტიური გეოგრაფიული არეალი და მიზანშეწონილია მაქსიმალურად შეეწყოს ხელი კერძო სექტორს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში, რომელიც კიდევ უფრო მეტ სარგებელს მოუტანს, როგორც ადგილობრივ მოსახლეობას, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს.

კომისიის წევრი ბადრი შავლიძის განცხადებით, ტერიტორია წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას და მისი აუქციონით პრივატიზების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი მიიღებს დამატებით შემოსავალს, შესაბამისად მიზანშეწონილია მოხდეს მიწის ნაკვეთის პირობიანი აუქციონით პრივატიზება.

მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების მართვის განყოფილების მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში - გულადი წითელაძის განმარტებით, ქედის მუნიციპალიტეტის მერი მიზანშეწონილად მიიჩნევს საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს მორიგ სხდომაზე, რასთან დაკავშირებითაც დამატებით წარმოადგინა მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზი (დანართი N1).

მერის წარმომადგენლის მახუნცეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - ლევან ვერძაძის განმარტებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის მიმართ მოსახლეობას პრეტენზიები არ გააჩნია, რადგანც მოქალაქეთა იმ ნაწილს ვისაც მიმდებარე ტერიტორიაზე აქვს მართლზომიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, უკვე რეგისტრირებული აქვთ ნაკვეთები, ან საჯარო რეესტრის განხილვაშია მათი საკითხები, შესაბამისად რაიმე სახის სამართლებრივი დავა მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთთან ამ ეტაპზე არ არსებობს.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები კომისიის წევრებს არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 4
წინააღმდეგი: 0

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ობიექტების (ქონება) ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 15 აპრილის 33 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე დამტკიცება.

კომისიის თავმჯდომარე სილოვან ბერიძე